ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6723437

ნომერი: AR1995674

თარიღი : 16.10.2023

გაცემის თარიღი : 24.10.2023

გაცნობის თარიღი : 24.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ოქროყანა , "გ" ზონა , (ნაკვ.01/029);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დანი ქოსაშვილი პ/ნ 01024076393
- ფანასკერტელ-ციციშვილის 18გ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6672310 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 16 ოქტომბერს №AR1995674 განცხადებით მომართა დანი ქოსაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 29

სექტემბრის №6672310 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609750 ბრძანებით, №01.15.08.001.181 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6672310 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609750 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, საზოგადოებრივი საზღვრების განსაზღვრასთან დაკავშირებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6672310 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ აღნიშნულ ბრძანებას არ ერთვის შესაბამისი დანართი - შეცვლილი საზოგადოებრივი საზღვრების გათვალისწინებით.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2023 წლის 15 სექტემბრის №AR1989854 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საზოგადოებრივი საზღვრების განსაზღვრასთან დაკავშირებით. სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6672310 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, შევიდა ცვლილება დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად არ იქნა მომზადებული შესაბამისი დანართი - შეცვლილი საზოგადოებრივი საზღვრების გათვალისწინებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6672310 ბრძანებაში და აღნიშნულ ბრძანებას დაერთოს შესაბამისი დანართი.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6672310 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6609750 და 2023 წლის 29 სექტემბრის №6672310 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.